

**ნათელა ფარტენაძე**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

[natia.phartenadze@bsu.edu.ge](mailto:natia.phartenadze@bsu.edu.ge)<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.58>

## სიტყვათა სინტაქსური შეკავშირების ცალკეული შემთხვევები ქართულში

**საკვანძო სიტყვები:** სინტაგმა, მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქცია.

როგორც ცნობილია, წინადადების წევრები ერთმანეთს ენაში შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით უკავშირდება. ხოლო წევრებს შორის ენაში ისტორიულად შემუშავებული გრამატიკული წესების მიხედვით დამყარებულ კავშირს სინტაქსური კავშირი ჰქვია (კვაჭაძე, 2010:9). შესიტყვება გულისხმობს სულ მცირე ორ სიტყვას. შესიტყვება არ არის სიტყვათა უბრალო, მექანიკური დაკავშირება. „შესიტყვება ისეთ სიტყვათა წყებაა, რომელნიც ერთმანეთთან გარკვეულს დამოკიდებულებაში იმყოფებიან, ეს დამოკიდებულებაა, სიტყვათა რიგს რომ შესიტყვებად ხდის“ (ჩიქოზავა, 2010:94).

არნ. ჩიქოზავა შესიტყვების ორ ძირითად ტიპს გამოყოფს: ატრიბუტულსა (სახელებისგან შემდგარი) და პრედიკატულს (ზმნისა და სახელისგან შემდგარი). „შესიტყვება შედგენილობის მიხედვით სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს. მასში შეიძლება შედიოდეს უფორმო სიტყვა და სახელი, უფორმო სიტყვა და ზმნა, სახელი და ზმნა. ყველაზე მეტი შესაძლებლობა ამ თვალსაზრისით სახელსა და ზმნას მოეპოვება, რადგან ისინი ფორმით ყველაზე უფრო მრავალფეროვანნი არიან. შესაბამისად, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში ყველაზე რთული სინტაქსური ურთიერთობაა“ (ჩიქოზავა, 2010:94).

ა. კიზირია გამოყოფს ოთხი სახის შესიტყვებას: ა) ზმნურს; ბ) სახელურს; გ) ზმნისართულს; დ) თანდებულიანს და აღნიშნავს, რომ: „შესიტყვებას წარმართავს ზმნა, სახელი ან ფორმალურად სიტყვა და ემყარება სინტაქსურად არათანაბარი უფლების მქონე სიტყვების შეერთებას“ (კიზირია, 1982:61).

ა. დავითიანი შენიშნავს, რომ შესიტყვება წინადადების სტრუქტურიდან გამოიყოფა, როგორც ერთმანეთთან გრამატიკულად და სემანტიკურადაც დაკავშირებული სიტყვათა ჯგუფი. ის წინადადების გარკვეულ რგოლს წინადადებასთან მიმართებით (მიკრორგოლს) ქმნის. მკვლევარი შესიტყვებას განიხილავს, როგორც წინადადების შუალედურ სტრუქტურულ ერთეულს, რომელთა წევრებს შორის „აზრობრივი კავშირი გრამატიკულად (მორფოლოგიურ-სინტაქსური საშუალებებით) არის გაფორმებული“ (დავითიანი, 1973:124-125).

შესაძლებელია, შესიტყვება შეიცავდეს ორ ან მეტ სიტყვას, მაგრამ კავშირი მაინც ორ სრულმნიშვნელოვან სიტყვას შორის მყარდება სინტაგმას ქმნის ორი

სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, რომელთა შორისაც არის დაქვემდებარებითი დამოკიდებულება და აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ფორმისა და შინაარსის მართებულად შეხამება, წინააღმდეგ შემთხვევაში სინტაგმა ვერ იქნება. საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრების მიხედვით სინტაგმა შედგება: 1. სახელისა და სახელისაგან (**აქურმა წყალმა** წყურვილი მომიკლა (ილია, 434); **ორმა შემთხვევამ** გამიტეხა გული (აკაკი, 127); **ეს ბარათი ამ დილით** მომიტანა **მისმა მძღოლმა** (ონაშვ., 124); დიდი ხნის **შეგუბებულმა გრძნობამ** გადმოხეთქა (ყაზბ., 50)... **იყალბოს კედლებს** ადგას ნათელი (ა. კალანდ., 386); **მთაწმინდის ნიაგმა** დამბერა (ვაჟა, 185); **აბრეშუმის ქსოვილი** სცილდება **გრანიტის ბიჭებს** (ლებ., 359)... 2. სახელისა და ზმნისაგან (სტუდენტი **ესაუბრება**, **ლექტორს** **ესაუბრება**, **საკითხზე** **ესაუბრება**...); 3. სახელისა და უფორმო სიტყვისაგან (**ეზოს უკან**; **სახლის წინ**...); 4. უფორმო სიტყვისა და ზმნისგან (**წინ მიდის**, **ადრე წავიდა**...) (ჩიქოვაძე, 2010:99).

ჩვენი კვლევის ობიექტს წარმოადგენს სახელურ სინტაგმათა შესწავლა. სახელისა და სახელისაგან შემდგარი სინტაგმა, როგორც წესი, ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის კონსტრუქციას. ატრიბუტული და სუბსტანტიური განსაზღვრებები სწორედ სინტაქსური დამოკიდებულების სახის მიხედვით განირჩევიან: 1. ატრიბუტული განსაზღვრება(აქაურმა წყალმა; ორმა შემთხვევაში, ეს ბარათი; ამ დილით; მისმა მძღოლმა...) შეთანხმებულია (სრულიად, ნაწილობრივ ან უსრულად) ბრუნვაში; 2. სუბსტანტიური (იყალბოს კედლებს; მთაწმინდის ნიაგმა; აბრეშუმის ქსოვილი; გრანიტის ბიჭებს...) ოდენ მართული (პირდაპირი წყობის დროს) ან მართულ-შეთანხმებული (ინვერსიული ან გათიშული წყობის დროს).

ლ. კვაჭაძის შეხედულებით „სახელურ სიტყვათა შეკავშირება ოთხგვარია: სუბსტანტიული, ადიექტური, რიცხვითსახელური და ნაცვალსახელური“ (კვაჭაძე, 2010:34) დასახელებული შეკავშირებანი ზეოხსენებულ სახელურ სინტაგმათა ორ სახეობაში გაერთიანდება (ატრიბუტულსა და სუბსტანტიურში). მიუხედავად იმისა, რომ არეთრი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიემდგნა სახელური სინტაგმების ანალიზს, ჯერ კიდევ არსებობს საკითხები, რომლებიც სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. ერთ-ერთი ასეთია თანდებულიანი სახელის შემცველი სინტაგმები. ამიტომ სახელურ სინტაგმებში, გარდა ზემოაღნიშნული ორი ქვესახეობისა, მესამე ქვესახეობად უნდა გამოიყოს ატრიბუტული განსაზღვრებისა და თანდებულიანი სახელისაგან შემდგარი სინტაგმები. მაგალითად: **ბველ ქალაქში** ყველაფერი უცნაურად გამოიყურებოდა; **მაღალ მწვერვალზე** ასვლას ვერ ბედავდა; ყველა **ლამაზ ეზოსთან** გაჩერდა; კაცი **დიდ საგონებელში** ჩავარდა; ბავშვები **ვიწრო სკამისკენ** გაექნენ; ... მოყვანილ მაგალითებში სინტაგმებად გამოიყოფა შემდეგი წყვილები: **ბველ ქალაქში**; **მაღალ მწვერვალზე**; **ლამაზ ეზოსთან**, **დიდ საგონებელში**, **ვიწრო სკამისკენ**... ასევე: ხალხი ამ აზრზე დამდგარა; მე ამ კაცში ცუდს ვერაფერს ვამჩნევ; **ჩემს დედაზე** ბევრს ვფიქრობს... და ა.შ.

აქ ჩნდება ორი კითხვა: ატრიბუტული განსაზღვრება ყოველთვის შეთანხმებულია ბრუნვაში? ყველა შემთხვევაში საზღვრული წევრია წამყვანი და მსაზღვრელი დაქვემდებარებული? ვფიქრობთ, საქმე ყოველთვის ასე არაა. მართალია, „თანდებული უკავშირდება რომელიმე გარკვეულ ბრუნვას, ანუ ესა თუ ის თანდებული, რომელსაც საერთოდ არ აქვს ბრუნვის კატეგორია, სახელისაგან მოითხოვს ამა თუ იმ ბრუნვას“ (გეგუჩაძე, 2010:22), მაგრამ ბრუნვაში შეთანხმება ვერ იქნება, რადგან თანდებულიანი

სახელით შეიძლება იყოს გადმოცემული როგორც უბრალო დამატება, ასევე გარემოება. არც ერთი და არც მეორე წევრი არაა შეთხზებული და, ბუნებრივია, ასეთ სინტაგმებში გვაქვს მართვა და არა შეთანხმება. თან დაქვემდებარებულია თანდებულიანი სახელით გადმოცემული წევრი და წამყვანი - განსაზღვრება (მსაზღვრელი). სხვა შემთხვევაში კი ყოველთვის საზღვრული წევრია წამყვანი და მსაზღვრელი დაქვემდებარებული. ასევე არ ეწარმოება ინვერსიული წყობა. ამიტომ ცალკე უნდა ჩაიშალოს ამ ტიპის სინტაგმები, ცალკე უნდა მოხდეს მათი განხილვაც და სინტაქსური შეკავშირების სახის კვალიფიცირებაც. აქედან გამომდინარე, ატრიბუტული განსაზღვრება ყოველთვის არ ყოფილა შეთანხმებული, მისი კვალიფიცირება დამოკიდებულია საზღვრულ წევრზე.

რაც შეეხება მეოთხე ქვესახეობას, შეიძლება, სუბსტანტიური (მართული) განსაზღვრების რანგში განვიხილოთ. აქ მოვიაზრებთ იმ სინტაგმებს, რომლებიც შედგება არა მხოლოდ ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით გადმოცემული მსაზღვრელისგან, არამედ სხვა ბრუნვაში მდგარი მსაზღვრელისა და ნაზმნარი სახელით გადმოცემული წევრისგან (**ხელით წერა, ჯოხით სიარული, ალაღად თქმული, მრუდედ დადგმული...**) ასევე: თანდებულიანი სახელისაგან (რომელიც შეიძლება იყოს უბრალო დამატება ან გარემოება) და უთანდებულო (ნაზმნარი, ზედსართავი ან არსებითი) სახელებით გადმოცემული წევრისგან (**მონადირისგან ხელშეუხებელი, ადამიანისგან მოკლული; სოროში მჯდომი; ჩემზე საუბარი** დიდხანს გრძელდებოდა; **სახლისკენ მიმავალი...**). მართალია, ყველა ამ ტიპის წყვილში მართვაა და წამყვანი სიტყვა შესიტყვების მეორე წევრია, რომელიც მოითხოვს, რომ პირველი წევრი უცვლელად იყოს წარმოდგენილი იმ ფორმით, რომელიც აქვს, თუმცა მათზე ცალკე იმიტომ უნდა ვიმსჯელოთ, რომ მათ არ ეწარმოებათ ინვერსიული წყობა (განსხვავებით ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სუბსტანტიური მსაზღვრელისა: აბრეშუმის ქსოვილი//ქსოვილი აბრეშუმის...).

ამავე ტიპისაა -ვით' თანდებულიანი სახელით გადმოცემული სინტაგმებიც: **დედასავით კითხვა, დედასავით საქმე, მამასავით მართალი, ბავშვივით ლამაზი, ვაზივით ნაზი...** წინადადებიდან: დედასავით საქმე იცოდა. შემდეგი სინტაქსური წყვილები გამოიყოფა. 1. დედასავით საქმე; 2. საქმე იცოდა. მოცემულ შესიტყვებაში უბრალო დამატება მიემართება სახელით გადმოცემულ წევრს და არა შემასმენელს. თუკი ადგილებს შევუნაცვლებთ, მივიღებთ ასეთ წინადადებას: საქმე დედასავით იცოდა. შესაბამისად წყვილებიც ასე განაწილდება: 1. საქმე იცოდა; 2. დედასავით იცოდა.

ორივე შემთხვევაში **დედასავით'** წევრი უბრალო დამატებაა, ე. ი. მისი სინტაქსური ფუნქცია უცვლელია, მხოლოდ ის წევრია სხვადასხვა, რომელსაც მიემართება. აქ ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ იცვლება სინტაქსური დამოკიდებულების სახე. პირველ შემთხვევაში (დედასავით საქმე) სახელებს შორის შუალობითი მართვაა, ხოლო მეორე შემთხვევაში (დედასავით იცოდა) ცალმხრივი მართვაა (სუბორდინაცია), სახელსა და ზმნას შორის.

ამ შეხედულების მიხედვით, ზოგჯერ წინადადების წევრის გადასმა ცვლის არამართო სინტაქსურ მიმართებას, არამედ მის სინტაქსურ ფუნქციასაც. მაგალითად: **კაცი მთასავით იდგა და მთასავით კაცი იდგა.**

ვით' თანდებულიანი სიტყვის სინტაქსური ფუნქციის შესახებ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი თვალსაზრისია გამოხატული. ზოგი მკვლევრის მიერ

გააზრებულია ვითარების გარემოებად, გამოხატავს მოქმედების მდგომარეობას და დაესმის კითხვა - როგორ?

თ. ბურჭულაძის თვალსაზრისით, „ვით“ თანდებულიანი ფორმები სინტაქსურ წყვილს ქმნიან არა მხოლოდ შემასმენელთან, არამედ სხვა წევრებთანაც, ამ თვალსაზრისით, ის მკვეთრად განსხვავდება ვითარების გარემოებისგან. ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი ზოგადად უბრალო დამატებასა და გარემოებას შორის ისაა, რომ ვითარების გარემოება გადმოიცემა ზმნიზედით, უბრალო დამატება სახელით და მიემართება სხვადასხვა წევრს, გარემოება კი მხოლოდ - შემასმენელს (ბურჭულაძე, იდგა. შესიტყვება სხვადასხვაგვარად გამოიყოფა (I. 1. მთასავით კაცი; 2. კაცი იდგა. II. 1. კაცი იდგა; 2. მთასავით იდგა), სინტაქსური წყვილი - „კაცი მთასავით“ - ვერ გამოიყოფა. პირველ წინადადებაში -ვით“ თანდებულიანი სახელი უბრალო დამატებაა და მიემართება სახელით გადმოცემულ წევრს (კაცი), ხოლო მეორე შემთხვევაში ვითარების გარემოებაა და მიემართება ზმნა-შემასმენელს (იდგა).

აქვე უნდა გამოიყოს მეხუთე ქვესახეობათ: ორი თანდებულიანი სახელის შემცველი სინტაგმები: **დედასთან საუბარზე** ჩაფიქრებული; **მთებში მოგზაურობაზე** ოცნებობდა; **ბავშვთან თამაშში** გართულიყო; **წიგნზე მუშაობაში** დაღლილიყო; **მეგობართან შეხვედრაზე** ნერვიულობდა; **დირექტორთან მოლაპარაკებაზე** შეთანხმდნენ..., რომლებიც ხშირად გვხვდება ქართულ მეტყველებაში, თუმცა მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი არ მომხდარა.

ამ ტიპის სინტაგმებზე შეიძლება რამდენიმე მნიშვნელოვანი დაკვირვების გაკეთება: 1. სინტაქსური თვალსაზრისით, აქ გვაქვს მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობა, სადაც პირველი თანდებულიანი სახელი მსაზღვრელია, ხოლო მეორე - საზღვრული; 2. სემანტიკური თვალსაზრისით, ეს წყვილები გამოხატავს პროცესს ან მოქმედებას და მის მონაწილეს. მაგალითად: „მეგობართან შეხვედრაზე“ - შეხვედრა (პროცესი) ხდება მეგობართან (მონაწილე); „წიგნზე მუშაობაში“ - მუშაობა (პროცესი) ხდება წიგნზე (ობიექტი); 3. საინტერესოა თანდებულების კომბინაცია: -თან + -ზე (მეგობართან შეხვედრაზე); -ში + -ზე (მთებში მოგზაურობაზე); -თან + -ში (ბავშვთან თამაშში)...; 4. მეორე სახელი ხშირად არის მასდარი (მოქმედების სახელი): შეხვედრა, მუშაობა, თამაში, მოგზაურობა და ა.შ.

ამ ტიპის სინტაქსური შეკავშირება წარმოადგენს მართვის სახეობას. ეს კონსტრუქცია იმ კუთხითაც საინტერესოა, რომ აქ გვაქვს ორმაგი მართვა: 1. პირველი თანდებულიანი სახელი მართავს მეორეს (მაგ.: „დირექტორთან მოლაპარაკებაზე“) და 2. მეორე თანდებულიანი სახელს ზმნა მართავს (მაგ.: „მოლაპარაკებაზე შეთანხმდნენ“).

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში სახელური სინტაგმის სტრუქტურული მრავალფეროვნება განპირობებულია მისი შემადგენელი კომპონენტების სხვადასხვა ტიპით. კვლევამ აჩვენა, რომ სახელური სინტაგმა ხუთი ძირითადი სტრუქტურული მოდელით არის წარმოდგენილი: სახელური სინტაგმის პირველი ტიპი, რომელიც ატრიბუტული მსაზღვრელისა და საზღვრულისგან შედგება (აქაური წყალი, ჩემი ბარათი...), წარმოადგენს უმარტივეს და ყველაზე გავრცელებულ მოდელს; მეორე ტიპი - სუბსტანტიური მსაზღვრელისა და საზღვრულის კომბინაცია (მთაწმინდის ნიავი, აბრეშუმის ქსოვილი...) ასევე ხშირად გვხვდება და გამოხატავს კუთვნილებით-წარმომადგლობით მიმართებებს. მესამე ტიპი, სადაც ატრიბუტული

მსაზღვრელი თანდებულიან სახელს უკავშირდება (ლამაზ ეზოსთან, ძველ ქალაქში, მაღალ მწვერვალზე...), მეოთხე ტიპი - თანდებულიანი სახელისა და უთანდებულო სახელის შეერთებით მიღებული შესიტყვება (სოროში მჯდომი, ადამიანისგან მოკლული...), წარმოადგენს უფრო რთულ სტრუქტურულ ერთეულს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მეხუთე ტიპი - ორი თანდებულიანი სახელისგან შემდგარი სინტაგმა (დირექტორთან მოლაპარაკებაზე, წიგნზე მუშაობაში...), რომელიც სტრუქტურულად ყველაზე რთულია და სპეციფიკურ სემანტიკურ-სინტაქსურ მიმართებებს გამოხატავს. ეს უკანასკნელი მოდელი განსხვავდება სხვა ტიპებისგან იმით, რომ მასში ორივე კომპონენტი თანდებულიანია და მათ შორის არსებული სინტაქსური კავშირიც საინტერესოა. რაც შეეხება სინტაქსური შეკავშირების სახეს, მხოლოდ პირველ შემთხვევაში გვაქვს შეთანხმება, ყველა დანარჩენში - მართვა.

აღნიშნული სტრუქტურული მრავალფეროვნება მიუთითებს ქართული ენის სინტაქსური სისტემის მოქნილობასა და გამომსახველობით სიმდიდრეზე, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ სახელური სინტაგმები საჭიროებს დაწვრილებით ჩაშლას.

აქვე გვინდა შევჩერდეთ სინტაქსური შეკავშირების კიდევ ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე. ე.წ. „სამწვერა“ სინტაგმებზე. სინტაქსური წევრების გამოყოფის შესახებ მნიშვნელოვანი დებულება აქვს გამოთქმული ანტონ კიზირიას. მისი აზრით, „სინტაქსური ჯგუფი“ არ შეიძლება საფუძვლად დაედოს სინტაგმას. წინადადებაში ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებულია ორი სიტყვა და არა სიტყვათა მთელი კომპლექსი, რომელიც ასეთ ჯგუფს ედება საფუძვლად“ (კიზირია, 1954:217). სიტყვათა შეკავშირება ივარაუდება მხოლოდ წინადადებაში შემავალ ორ წევრს შორის. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია სამწვერა სახელური სინტაგმები, როგორებიცაა: წყლით სავსე ჭიქა, შეშით დატვირთული ურემი, თოვლით დაფარული მიწა და ა. შ. ასევე ვითარებითი ბრუნვით წარმოდგენილი შესიტყვებები: მოყვრულად მოსული მტერი, ზღაპრად მოგონილი ამბავი...და ახსნილია, რომ დასახელებულ შემთხვევებში სამწვერა შესიტყვებები იმიტომ გვაქვს, რომ საზღვრულს მთლიანად განსაზღვრავს ორი მსაზღვრელი (კარტოზია, 1996: 122; ბურჭულაძე, 2018:41).

ჩვენ სამწვერა შესიტყვებებს ვადასტურებთ, მაგრამ არა ზემოხსენებულ შემთხვევებში, რადგან წინადადებაში: შეშით დატვირთული ურემი დაადგა გზას. წყვილები: 1. შეშით დატვირთული; 2. დატვირთული ურემი; 3. ურემი დაადგა; 4. დაადგა გზას. ვფიქრობთ, არ საჭიროებს სამწვერა შესიტყვებას, რადგან სინტაგმებში არ ირღვევა შინაარსი და არც ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა არ წარმოადგენს ერთ წევრს. რაც შეეხება ამ ტიპის შესიტყვებებს, როგორებიცაა: **გაკვეთილების დამთავრებამდე სამსახურიდან გამორბოდა; გამოცდის დაწყებამდე ხუთი წუთი რჩებოდა; ერთ დღეს სოფელში წავედი; იმ დროს ბავშვი ვიყავი...**

წინადადების ერთ წევრად გვევლინება:

**დროის და ხანგრძლივობის გამომხატველი კონსტრუქციები:** „ძველ დროს“; „ამ დროს; „გასულ კვირას“; „მომავალ თვეს“; „იმ ხანად“; „ამ ხანებში“; „ბოლო დროს“; „უკანასკნელ ხანს“... წინადადებაში „რამდენიმე საათი ვიდექი ქუჩაში“ - გვაქვს შემდეგი წყვილები: 1. რამდენიმე საათი ვიდექი (დროის გარემოება - შემასმენელი); 2. ქუჩაში ვიდექი (ადგილის გარემოება - შემასმენელი). მსგავსი მაგალითებია: ბევრი დრო; მთელი დღე; ცოტა ხანი...

**ადგილის გამომხატველი მსგავსი კონსტრუქციები:** „იმ ადგილას“; „ამ მხარეს“; „იმ მხარეს“...

*ვითარების გამომხატველი:* „ამ სახით“; „იმ რიგად; „ასეთ პირობებში“...ყველა ეს შესიტყვება, მიუხედავად იმისა, რომ ორი სრულმნიშვნელოვანი სიტყვისგან შედგება, წინადადებაში ერთ წევრად აღიქმება და ერთიან სინტაქსურ ფუნქციას ასრულებს. ხშირად მათი ჩანაცვლება შეიძლება ერთი სიტყვით (მაგ., „ერთ დღეს“ – „ოდესღაც“, „ძველ დროს“ (ძველად); „ამ დროს (ამჟამად); „იმ დროს“ – „მაშინ“).

მსგავს შემთხვევებში: „გაკვეთილების დამთავრებამდე“ ან „დღის დამთავრებამდე“ წარმოადგენს ერთ წევრს - დროის გარემოებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს გამოთქმები შედგება სხვადასხვა სიტყვისგან (სახელი + სახელი), სინტაქსურად ისინი ერთ მთლიან წევრს ქმნიან. მაგალითად: „გაკვეთილების დამთავრებამდე ბიბლიოთეკაში ვისხედით“ - აქ „გაკვეთილების დამთავრებამდე“ არის ერთი წევრი და გამოხატავს დროის გარემოებას. მსგავსი კონსტრუქციის მაგალითებია: წლის დასრულებამდე; ზაფხულის დადგომამდე; კრების დაწყებამდე; მატარებლის ჩამოსვლამდე...ყველა ეს კონსტრუქცია წინადადებაში ერთ სინტაქსურ ერთეულს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ შედგება სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისგან.

როგორც წესი, ყოველი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა არის წინადადების წევრი, ორი წევრი კი ქმნის სიტყვათა შეკავშირებას, რომელსაც სინტაქსური წყვილი ანუ სინტაგმა ჰქვია. სიტყვები წყვილდებიან აზრობრივად, შინაარსის გათვალისწინებით და ფორმის დაცვით, ამიტომ ზოგჯერ სამი სრულმნიშვნელოვანი სიტყვა გვაძლევს წყვილს, რომელთაგან ორი წარმოადგენს ერთ წევრს და ამიტომ შეიძლება ამ ტიპის სინტაგმებს ვუწოდოთ „სამწევრა სინტაგმები“. წინააღმდეგ შემთხვევაში მარტივ წინადადებაში წყვილთა რაოდენობა არ გვექნება საერთო წევრთა რაოდენობაზე ერთით ნაკლები.

#### **შემოკლებათა განმარტებები:**

ილია - ჭავჭავაძე ი., თხზულებანი, თბ., 1984.

აკაკი - წერეთელი ა., მოთხრობები, თბ., 1059.

ვაჟა - ვაჟა-ფშაველა, რჩეული, თბ., 1953.

ყაზბ. – ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. IV, თბ., 1950.

ა. კალანდ. – კალანდაძე ა., რჩეული, თბ., 1975.

ლებ. – ლებანიძე მ., რჩეული ლირიკა, თბ., 1977.

ონაშვ. - ონაშვილი ნ., მანძილი მიწამდე, თბ., 1985.

#### **ლიტერატურა:**

1. ბურჭულაძე, 2013 - ბურჭულაძე თ., **-ვით'** თანდებულებიანი უბრალო დამატებისა და ვითარების გარემოების გამიჯვნისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVI, თბილისი.
2. ბურჭულაძე, 2018 - ბურჭულაძე თ., წინადადების წევრთა სინტაგმატიკის საკითხი ქართულში, თბილისი.
3. გეგუჩაძე, 2010 - გეგუჩაძე ლ., ქართული ენა, სინტაქსის საკითხები, თბილისი.
4. დავითიანი, 1973 - დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
5. კარტოზია, 1996 - კარტოზია გ., ერთი ტიპის შესიტყვების ორი ვარიანტისათვის ქართულსა და ზანურში, ქართველური მეცნიერება, I, ქუთაისი.
6. კვაჭაძე, 2010 - კვაჭაძე ლ., თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, მეხუთე შეესწავლილი გამოცემა, თბილისი.
7. კიზირია, 1982 - კიზირია ა., მარტივი წინადადების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბილისი.

8. კიზირია, 1954 - კიზირია ა., სინტაგმის საკითხისათვის, თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 53, თბილისი.
9. ჩიქობავა, 2010, - ჩიქობავა არნ., შრომები, თბილისი.

**Natela Phartenadze**

Batumi Shota Rustaveli State University

Batumi, Georgia

[natia.phartenadze@bsu.edu.ge](mailto:natia.phartenadze@bsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.58>

## **Individual cases of syntactic linking of words in the Georgian language**

### **Abstract**

A nominal syntagma and syntagma, consisting of a nominal part, as a rule, form a modifier-modified construction. The structural diversity of the nominal syntagma in the Georgian language is due to the different types of components that make it up. The study showed that the nominal syntagma is represented by five main structural models.

The first type of nominal syntagma, consisting of an attributive modifier and a modified (*akauri ts'q'ali* - local water, *chemi barati* - my map, ...), is the simplest and most common model. The second type, a combination of a substantive modifier and a modified (*mtats'mindis niavi* - breeze of Mtatsminda, *abreshumis ksovili* - silk fabric,...), is also common and expresses the relations of belonging and origin. The third type represents the attributive modifier combined with a noun with a suffix (*lamaz ezostan* - at a beautiful yard, *dzvel kalakshi* - in the old town, *maghal mts'vervalze* - on a high peak, ...). The fourth type, a compound formed by combining a noun with a suffix and a noun without a suffix (*soroshi mjdom* - sitting in a grove, *adamianisgan mok'luli* - killed by a man,...), is a more complex structural unit. The fifth type, a syntagma consisting of two nouns with suffixes (*direkt'ortan molap'arak'ebaze* - at negotiations with the director, *ts'ignze mushaobashi* - in work on a book, ...), deserves special attention. It is structurally the most complex one and expresses specific semantic-syntactic relations. The last model differs from other types in that both components in it have suffixes, and the syntactic connection between them is also interesting. This structural diversity testifies to the flexibility and expressive richness of the syntactic system of the Georgian language, which once again confirms that nominal syntagmas require detailed analysis.

Here, attention is focused on three-member phrases. As a rule, each meaningful word is a member of a sentence, and two members form a collocation called a syntactic pair or syntagma. Words are paired according to meaning, taking into account the content and observing the form, so sometimes three full-meaning words give a pair, two of which represent one member, and therefore we call them "three-member syntagmas". For instance, *gak'vetilebis damtavrebamde samsakhuridan gamorboda* - he ran from work before the end of classes; *gamotsdis dats'q'ebamde khuti ts'uti rcheboda* - there were five minutes left before the exam; *ert dghes sopelshi ts'avedi* - one day I went to the village; *im dros bavshvi viq'avi* - I was a child then ...

A single unified member of a sentence can be represented by: constructions expressing time and duration: *dzvel dros* - in the old days; *am dros* - at this time; *gasul k'viras* - last week; *momaval tves* - next month; *im khanad* - at this time; *am khanebshi* - at these times; *bolo dros* - recently; *uk'anask'nel khans* - recently... In the sentence „*ramdenime saati videki kuchashi*“ - I had been standing on the street for several hours - we have the following pairs: 1. *ramdenime saati videki* - I had been standing for several hours (adverbial modifier of time - predicate); 2. *kuchashi videki* - I had been standing on the street (adverbial modifier of place - predicate). Similar examples: *bevri*

*dro* - a lot of time; *mteli dghe* - all day; *tsot'a khani* - a little time... Similar constructions pointing to a place of an action: *im adgilas* - in that place; *am mkhares* - on this side; *im mkhares* - on that side... Collocations expressing manner: *am sakhit* - thus; *im rigad* - in such a way; *aset p'irobebshi* - under such conditions"... All these collocations, despite the fact that they consist of several words, are perceived as one member of the sentence and perform a single syntactic function. However, they can often be replaced by one word (for example, *ert dghes* - one day, *odesghats* - once upon a time, *dzvel dros (dzvelad)* - in the old days; *am dros (amzhamad)* - at the present time (at the present moment); *im dros (mashin)* - then. In similar cases: *gak'vetilebis damtavrebamde* - before the end of classes or *dghis damtavrebamde* - before the end of the day - the phrase represents one member - an adverbial modifier of time. Although these expressions consist of different words (noun + noun), syntactically they form a single whole. For example: *gak'vetilebis damtavrebamde bibliotek'ashi viskhedit* - we had been sitting in the library until the end of classes" - here *gak'vetilebis damtavrebamde* - "before the end of classes" is one member and expresses an adverbial modifier of time. Examples of such constructions are: *ts'lis dasrulebamde* - until the end of the year; *zapkhulis dadgomamde* - before the start of summer; *k'rebis dats'q'ebamde* - before the start of the meeting; *mat'areblis chamosvlamde* - before the arrival of the train... All these constructions make up one syntactic unit in the sentence.

**Key words:** Types of sentences, advertising slogans.